საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 4274-03
28/12/2020

რექტორის 2020 წლის 26 ნოემბრის N4166-03 ბრძანებაში ,,2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N698 დადგენილების ,,უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 28 დეკემბრის N13035-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება რექტორის 2020 წლის 26 ნოემბრის N4166-03 ბრძანების მე-15 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,15. კვლევითი განაცხადის შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღება იწარმოებს 2021 წლის 18 იანვრის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიის ელექტრონულ მისამართზე info@iliauni.edu.ge ;“

2. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს;

3. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს ამ ბრძანების და ბრძანებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა და მოთხოვნის შემთხვევაში ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნა.

4. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

5. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და იურიდიულ სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი